რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 1 ივლისის არჩევნებისთვის

წინამდებარე სამოქმედო გეგმამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარების მქონე სამეცნიერო ინოვაციებზე ორიენტირებულ, თანამედროვე კვლევით უნივერსიტეტად ჩამოყალიბებაში. გეგმა ამავე დროს ეფუძნება ძირითად საუნივერსიტეტო პრინციპს - უნივერსიტეტი არის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ერთობა და ადმინისტრაციის მოვალეობაა მათთვის სწავლებისა და სწავლის მაქსიმალურად კომფორტული და ნაკლებად პრობლემური გარემოს შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით, ყველანაირი საერთაშორისო სარეიტინგო მახასიათებლით, ჩვენი ფაკულტეტი უპირობო ლიდერია საქართველოში და კავკასიის რეგიონში, ხოლო რიგი მიმართულებებით - ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის. ეს გარემოება კარგ სასტარტო პირობას ქმნის ფაკულტეტის როლისა და მნიშვნელობის განმტკიცებისთვის შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში და აგრეთვე ფაკულტეტის კონკურენტული და ცნობადი საერთაშორისო სუბიექტის სახით ჩამოყალიბებისთვის. თავის მხრივ, ფაკულტეტის პრესტიჟის გაზრდამ ადექვატური ასახვა უნდა ჰპოვოს მისი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესებაში. ამ ძირითადი მიზნების განსახორციელებლად დაგეგმილია შემდეგი ქმედებები სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრირების მიმართულებით:

1. **სწავლისა და სწავლების მიმართულება:**

- არაა სადავო, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ცენტრალური საკითხია და აქედან გამომდინარე, ფაკულტეტის ძირითადი ამოცანაა სტუდენტებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი და ხელმისაწვდომი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე მეცნიერული კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება და სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური გარემოს შექმნა. ჩვენ ყველანაირად წავახალისებთ საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო -კვლევითი

პროექტების განხორციელებასა და სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას. ეს მიდგომები ავტომატურად გაზრდის ჩვენი ფაკულტეტის დიპლომის პრესტიჟს, რაც სამომავლოდ გარანტიაა ნიჭიერი სტუდენტების მოზიდვისათვის.

- სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად უაღრესად მნიშვნელოვანია საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარება. ამ მხრივ ჩვენი ფაკულტეტის პროფესურას მართლაც უნიკალური შესაძლებლობა აქვს ამერიკის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (სდსუ) მიერ განხორციელებულ პროგრამებში ჩართვით. სდსუ ჩვენი ფაკულტეტის ბაზაზე ახორციელებს სამ საბაკალავრო პროგრამას: ქიმია (ორიენტირებული ქიმიასა და ბიოქიმიაზე), კომპიუტერული ინჟინერია და ელექტრული ინჟინერია, იგეგმება აგრეთვე დამატებითი ხარისხის შეთავაზება კომპიუტერულ მეცნიერებაში, რომელიც მომდევნო სამ წელიწადში ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. ჩვენი მიზანია ამ პროგრამის ხელშეწყობა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ჩართვა ამერიკაში გადამზადების პროგრამებსა და სდსუ-ის მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროცესში. ცალკე თემაა სტუდენტების მოქნილი მობილობის სისტემის შექმნა ჩვენი ფაკულტეტისა და სდსუ-ს საბაკალავრო პროგრამებს შორის.
- კიდევ ერთი შედეგი სდსუ-თან თანამშრომლობისა იქნება ჩვენი ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც უკვე ერთი წელია აქტიურად მიმდინარეობს და ახლა საჭიროა ძალისხმევა ამ ახალი შესაძლებლობების ჩვენი ფაკულტეტის საჭიროებებისთვის მაქსიმალურად ეფექტურად გამოსაყენებლად.
- საზრუნავია და აუცილებელია სტუდენტების ზაფხულის სემესტრის რეჟიმის ამოქმედება, როდესაც დარჩენილი საგნების ხელახლა შემჭიდროებულ ვადებში გავლა და გამოცდების ჩაბარება გახდება შესაძლებელი. ეს უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვას ისე, რომ ზოგიერ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ზედმეტი დამატებითი სემესტრის გარეშე სწავლის დასრულება, რაც კარგი არგუმენტი იქნება მისაღები კვოტის გაზრდისათვის. მისახედია აგრეთვე სტუდენტების მიერ საპატიო მიზეზით გამოცდების და კოლოქვიუმების გაცდენის შემთხვევაში მოქნილი განმეორებითი გამოცდების დანიშვნის მექანიზმის შემუშავება.
- მიზანშეწონილია ფაკულტეტზე მოქმედი საბავშვო უნივერსიტეტის სამიზნე ჯგუფების გაფართოება, კერძოდ, აქამდე აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ პოპულარულ ლექციებზე მომავალი სტუდენტების მასობრივი მოზიდვისთვის. ჩემი აზრით, ამ აქტივობებს უნდა დაემატოს მუშაობა განსაკუთრებულად ნიჭიერ ბავშვებთან მათი ჩვენს ფაკულტეტზე მოზიდვის მიზნით. შესაძლებელი და მიზანშეწონილია რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან მოლაპარაკებების გამართვა, რომ მოსწავლეთა ოლიმპიადების შესარჩევი ტურების ამოცანების შემუშავება და ნაკრები

გუნდების საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის მომზადება/დაკომპლექტება ჩვენი ფაკულტეტის ბაზაზე ხდებოდეს.

2. სამეცნიერო განვითარების მიმართულება:

ფაკულტეტის საკვანძო მიზანია თანამედროვე ახალ ცოდნაზე დამყარებული მიდგომების დანერგვა, მეცნიერული კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება, ფაკულტეტის ინტელექტუალური პოტენციალის კონცენტრაცია პრიორიტეტული სამეცნიერო პრობლემატიკის დამუშავებაზე, სამეცნიერო–კვლევითი პროექტების ხელშეწყობა და ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება. ამ ზოგადი სტრატეგიიდან გამომდინარე აუცილებელია:

- საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში აღიარებული მაღალი ხარისხის კვლევითი პროდუტის მნიშვნელოვანი და განუხრელი ზრდა. ამ მიზნით მიზანშეწონილია საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ცნობადი სამეცნიერო პროდუქციის შემქმნელი აკადემიური პერსონალის წახალისების უფრო დახვეწილი მექანიზმების შექმნა, მაგალითად, სამეცნიერო პროდუქტით, იმპაქტ-ფაქტორიანი ან რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით ანდა პატენტებით სერვისის ჩანაცვლების შესაძლებლობა, საერთო საუნივერსიტეტო სახსრებიდან ფაკულტეტისთვის ამ მიზნით სახსრების მოძიება და ა.შ.
- სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზების მხრივ მკვეთრად გასაუმჯობესებელია მიდგომები, კერძოდ, სტუდენტების წახალისების ერთადერთი მეთოდია კონფერენციაზე პრეზენტაციის სტიპენდიის დანიშვნისთვის ერთ-ერთ კომპონენტად განხილვა, შესაბამისად, პრეზენტაციების ხარისხიც არაა მაღალი. ამიტომ, მე მგონი, გონივრული იქნება სოლიდური ფულადი ჯილდოების დაწესება გამარჯვებულებისთვის, ამ მიზნით ალბათ მიზანშეწონილი იქნება სამეცნიერო შიდა-საუნივერსიტეტო გრანტების გადამისამართება. ეს შიდასაუნივერსიტეტო გრანტები მეტად მწირია სრულფასოვანი სამეცნიერო კვლევების საწარმოებლად, ხოლო საკონფერენციო ჯილდოებისთვის ძალზედ მასტიმულირებელი ფაქტორი იქნებოდა.
- საჭიროა გაცვლითი პროგრამების უფრო მეტად წახალისება სტუდენტების განათლებისა და ახალგაზრდა მკვლევარების ტრენინგისთვის/განვითარებისათვის. ასეთი პროგრამები უკვე არსებობს თსუ-სა და იულიხის კვლევით ცენტრს, აგრეთვე თსუ-სა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის. მსგავსი პროექტები აგრეთვე რეალიზდება უნივერსიტეტის პროფესურის მიერ პირადი კონტაქტების საფუძველზე. აუცილებელია ამ პროექტების რეალიზებაში მაქსიმალური დახმარება, შეჩერებული პროექტების ამოქმედება, რეკლამირება, და ამ ყველაფრის ადექვატური ასახვა ფაკულტეტის ვებგვერდზე.

- ცალკე თემაა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები: მწირი დაფინანსების პირობებში ერთადერთი გამოსავალია უცხოეთთან ერთობლივი პროგრამების ორგანიზება და ამ მიმართულებითაც დაიგეგმება მუშაობის გააქტიურება. ამ ბოლო დროს პრობლემური გახდა გაცვლითი პროგრამების ორგანიზება ჩვენი ფაკულტეტის პროფესურისა და სტუდენტებისთვის ერაზმუს+ ეგიდით ორგანიზებული პროგრამებით. არჩევანი ძალიან მდიდარია სხვა ფაკულტეტების სპეციალობებისთავის, მაშინ როცა, განსაკუთრებით წელს, ჩვენი ფაკულტეტის თემატიკისთვის საერთოდ აღარაფერია. უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტთან ბევრია სამუშაო ამ მიმართულებით და შესაძლებელია აგრეთვე ჩვენი ფაკულტეტის პროფესურის პირადი კონტაქტების გამოყენება მსოფლიოს სხვადასხვა კვლევით ცენტრთან და უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან ერთობლივი გაცვლითი პროექტების ორგანიზების მიზნით ერაზმუს+ დაფინანსებით.
- მნიშვნელოვანი საკითხია სტუდენტებისათვის ერთიანი სამუშაო სივრცის გამოყოფა, რაც საერთაშორისო პრაქტიკაა - როდესაც უფროსი სტუდენტები უმცროსებთან ერთ სივრცეში მუშაობენ, ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ.

3. ადმინისტრირების მიმართულება:

- ჩვენი ფაკულტეტის პროფილით შემოერთებულ ინსტიტუტებთან სწორი ურთიერთობა შესაძლებლობას ქმნის, რომ უნივერსიტეტის ახალი წესდების შესაბამისად გაფართოებულ აკადემიურ საბჭოში გვქონდეს ხმების თითქმის 1/3 და ერთიანი პოზიციით გამოვიდეთ ჩვენთვის საჭირბოროტო მრავალ საკითხზე: იქნება ეს ჩვენი კორპუსების და ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება თუ უნივერსიტეტის მასშტაბით პროფესურის არათანაბარი ანაზღაურების პრობლემები. წასახალისებელია ასევე ამ ინსტიტუტების მოწინავე თანამშრომლების ძალისხმევა ჩვენი კურსდამთავრებულების მათ ინსტიტუტებში ინტეგრირებისათვის.
- დღესდღეობით სრული სახელმწიფო დაფნანსებით მხოლოდ ოთხ მიმართულებაზე მიმდინარეობს ჩარიცხვა, მაშინ როცა ქვეყნისთვის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა გეოგრაფია, გეოლოგია, კომპიუტერული მეცნიერებები, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია და ეკოლოგია მხოლოდ სტუდენტებისგან მოზიდულ სახსრებზეა დამოკიდებული. ამ მხრივ განათლების სამინისტროსთან აქტიური მუშაობაა საჭირო, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებაზე იყოს გადაყვანილი.

- ბიუჯეტის ოპტიმიზაციის კუთხით ბევრია სამუშაო და გამონთავისუფლებული სახსრები ჩვენი ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულებების სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებისთვისაა მისამართი. კერძოდ, პრიორიტეტულია ბიოლოგიის, ქიმიის და გეოლოგიის დეპარტამენტებისთვის რეაქტივებისა და ქიმიური აღჭურვილობის შეძენა-განახლება, კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებისთვის პროგრამული უზრუნველყოფის დაფინანსება და კომპიუტერული კლასების განახლება, აგრეთვე მოძველებული გეოლოგიური აღჭურვილობის შეცვლაზე ზრუნვა, სტიქიის მიზეზით დაზიანებული გეოგრაფიული ლაბორატორიის აღდგენისთვის მოქმედების აქტივიზირება და ფინანსური დახმარება, ასევე ბიბლიოთეკის აღჭურვა, სამეცნიერო ლიტერატურით უზრუნველყოფა და საუნივერსიტეტო ონლაინ ხელმოწერის საკითხის მკვდარი წერტილიდან დაძვრა. ჩვენი მიზანი იქნება აგრეთვე იმ დადებითი ფაქტორის საჩვენოდ გამოყენება, რაც დაკავშირებულია სან დიეგოს სახელწიფო უნივერსიტეტის პროგრამების განხორციელების შედეგად ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან, რომ მოხდეს ეტაპობრივად ფაკულტეტის მფლობელობაში არსებული ფართების გარემონტება.
- ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება მეცნიერების ექსპერიმენტული დარგების ხელშეწყობა.
- აღრიცხვიანობის გამარტივება: პროფესურას სურვილის შემთხვევაში ექნება გაზებზე ნაწილობრივი წვდომა უწყისების ელექტრონულად შესავსებად და სტუდენტებზე ინფორმაციის მოსაძიებლად. შემუშავდება სერვისის სამეცნიერო მუშაობით ჩანაცვლების მეთოდები, კერძოდ, სერვისი შეიძლება მეტწილად ჩანაცვლდეს ჭარბი იმპაქტ ფაქტორიანი ან რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ანდა პატენტების არსებობის შემთხვევაში.
- აუცილებელია ფაკულტეტის ვებგვერდის სრულყოფა და თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მომზადება, ძირითადი ინფორმაციის ინგლისურ ენაზე დუბლირება, რამაც უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა საერთაშორისო პარტნიორებისა თუ პოტენციური უცხოელი სტუდენტებისთვის.
- შემუშავებული იქნება მიდგომები დეპარტამენტებისთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებისა და ფუნქციების გაზრდისთვის.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი,
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
რამაზ ხომერიკი